აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

მარინე გვიანიძის 2023 წლის ანგარიში

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

შინაარსი

საქმიანობა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტიტის თავმჯდომარის პოზიციაზე 3

საკანონმდებლო საქმიანობა 4

საერთაშორისო ურთიერთობები 5

ღია მმართველობის საბჭო 6

მოქალაქეებთან და ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობა, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები 7

სამეცნიერო საქმიანობა 8

2024 წლის გეგმები 9

საქმიანობა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტიტის თავმჯდომარის პოზიციაზე

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი უმაღლესი საბჭოს ერთერთი საკვანძო სუბიექტია.

მისი ფუნქცია-მოვალეობები შედგება შემდეგი ძირითადი საკითხებისგან:

- საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადება;
- უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების ხელშეწყობა;
- ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლი;
- კომიტეტი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესების უზენაესობით, მრავალპარტიულობის, კანონიერების, საჯაროობის, ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპებით;
- საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, კომიტეტის დებულებითა და კომიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში;
- კომიტეტი ეფექტიანად უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროცესს, რომელიც პასუხობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საჭიროებებ.

ცხრილი 1. კომიტეტის აქტივობები

სხდომათა რაოდენობა	განსახილველი საკითხი	დასკვნა	ნააკი	ანგარიში
13	23	12	1	8

სამოქმედო გეგმის ფარგლებში კომიტეტი განიხილავს და უსმენს სხვადასხვა უწყებების ანგარიშებს.

ცხრილი 2. უწყებების ანგარიშები

1.	**მთავრობის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში.**
2	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2024-2027 წლებისათვის.**
3	**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება.**
4	**ყოველკვარტალურად განიხილა რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით.(პირველი, მეორე და მესამე კვარტლის).**
5	**სსიპ „ბათუმის ბულვარის“ 2022 წლის საქმიანობის ანგარიში და მიმდინარე წელს ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.**
6	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება „აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია მიმდინარე წლის ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებით.**
7	**ინფორმაცია ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის“ მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის თაობაზე**
8	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაცია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის“ პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში შესრულებული პროექტების შესახებ.**

საკანონმდებლო საქმიანობა

2023 წელს განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ინიციატივები:

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე. (მიღებულია: N76-II ს 29.05.2023წ)**

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი (მიღებულია: N78-IIს 12.06.2023წ)
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ" (მიღებულია N77 12.06.2023წ)
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (მიღებულია: N79-რს 31.07.2023წ)
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ (მიღებულია:N83-Iს 30.11.2023 წ)
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ (მიღებულია: N84-Iს 08.12.2023წ)

საერთაშორისო ურთიერთობები

მონაწილეობა მივიღე უმაღლესი საბჭოს დელეგაციებში :

- ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ზალცბურგის

მე-19 ევროპის სამიტზე. აღნიშნული სამიტი წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას ევროკავშირის პოლიტიკოსებთან და სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დასამყარებლად, ჩვენი რეგიონის და ქვეყნის რეალური პოლიტიკური მიზნების გასაცნობად. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ასევე ზალცბურგის ლანდტაგის პრეზიდენტთან დოქტორ ბრიგიტა პალაუფთან ოფიციალური ვიზიტი.

- **ბრანდენბურგის ლანდტაგის პრეზიდენტის მიწვევით უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მონაწილეობდა სამმხრივ კონფერენციაში პოლონეთის ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის წარმომადგენლებთან ერთად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.**

ღია მმართველობის საბჭო

უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრობის ფარგლებში 2023 წელს აღებული მქონდა ვალდებულობა ახალი ვებ-პლატფორმის https://chaerte.sca.ge პოპულარიზაცია აჭარის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩავატარე საინფორმაცია შეხვედრები, ყველა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სფეროს წამომადგენლებთან. აღნიშნული ვებ-პლატფორმა და მისი ფუნქციები გავაცანი მუნიციპალიტეტების წამომადგენლებს, დაინტერესებულ მოქალაქეებს, სკოლის პედაგოგებს და მაღალი კლასის მოწაფეებს. ჯამში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის და ახალი ვებ-პლატფორმის chaerte.sca.ge შესახებ ინფორმაცია გავაცანი 250 მეტ პიროვნებას.

ექსკურსიები უმაღლეს საბჭოში:

- **ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები.**
- **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები.**
- **კირნათის საჯარო სკოლის მოსწავლეების ექსკურია დედამიწის დღესთან დაკავშირბით.**
- **თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ბაზაზე არსებული ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლების ვიზიტი.**

მოქალაქეებთან და ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობა, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები

მოსახლეობასთან ურთიერთობას ვახორციელებ როგორც უმაღლეს საბჭოში მიღებით ასევე გასვლითი შეხვედრებით, სადაც განვიხილავთ მათთვის აქტუალურ საკითხებს და გადაჭრის გზებს.

ასევე შეხვედრებს ვმართავ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრის ძირითადი თემებია უმაღლესი საბჭოს შესახებ ცნობიერების ამაღლება და გარემოს დაცვის საკითხები. ასევე დიდ ყურადღებას ვუთმობ ახალგაზრდა თაობის ინიციატივებს და ინტერესებს, რაზეც დისკუსიის ფორმით ვსაურბრობთ. მოქალაქეებთან შეხვედრის კარგი ფორმატია ღია მმართველობის ფარგლებში უმაღლესი საბჭოს მიერ ექსკურსიების დანერგვა უმაღლეს საბჭოში.

წლის განმავლობაში ჩატარებული მნიშვნელოვანი შეხვედრები და აქტივობები:

- აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური გეგმისა და ინსტიტუციონალური მოდელის პრეზენტაცია-განხილვა.
- საკანონმდებლო საქმიანობის გაცნობის მიზნით, შეხვედრა „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ ბაზაზე არსებულ ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებს.
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა.
- სამუშაო შეხვედრა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პროგრამების საჯარო განხილვასთან დაკავშირებით.
- ფორუმი - აჭარის აგრარული შესაძლებლობები“,
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - "რეკრეაციული პარკების მართვისა და განვითარების შესაძლებლობები“.
- „უძრავი ქონებისა და ტურიზმის ფორუმი - Batumi Real Estate 2023.
- სამუშაო შეხვედრა - აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლის შემაჯამებელ შედეგებთან დაკავშირებით.

- აჭარის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის სამუშაო შეხვედრა.
- „უსაფრთხო ტურიზმის კამპანია“ სამუშო შეხვედრა ტურიზმის რეფორმებთან დაკავშირებით.
- ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოსა და ღია სივრცე საზოგადოებისთვის ,,ქალთა ოთახის“ მიზნობრივი პროგრამის ,,ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობის" ფარგლებში გამარჯვებულ მონაწილეებთან ხელშეკრულების გაფორმება.
- პრეზენტაცია შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ მე-18 საჯარო სკოლაში.
- პრეზენტაცია რეგიონში არსებულ გარემოს დაცვითი პროექტების შესახებ - კირნათის საჯარო სკოლაში.
- მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირების ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, აქტიური და ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოვება.
- ქ. ბათუმის მე-14 საჯარო სკოლაში ღია გაკვეთილი დედამიწის წარმოშობის შესახებ.
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, წარმატებული სტუდენტების დაჯილდოება.

სამეცნიერო საქმიანობა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში 2016 წლიდან ვასწავლი 3 საგანს:

1. საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები.
2. გარემოს ხარისხის კონტროლი და შეფასება.
3. გარემოს დაცვის თანამედროვე სისტემები.

აღნიშნული საქმიანობა საშუალებას მაძლევს ახალ თაობას გავაცნო გაერმოს დაცვის მნიშვნელოვანი ასპექტები. ასევე საწარმოო პრაქტიკის მეშვეობით რეგიონში არსებული გარემოს დაცვის მიმართულებით

მნიშვნელოვან ობიექტებზე ვიზიტით, კიდევ უფრო უღრმავდებათ სტუდენტებს გარემოს დაცვითი ცნობიერება.

გამოქვეყნებული სტატია:

Assesment of the ecological condiotion of some rivers of Ajara on the basis of biogenic indicators. Building scientific-technical journal 2023.

კონფერენციაში მონაწილეობა:

International Scientific and Technical Conference Problems of Engineering Science 8.09.2023.

2024 წლის გეგმები

- კომიტეტის სამოქმედო გეგმის შესრულება.
- ღია მმართველობის საბჭოს ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულება და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ცნობიერების ამღლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ბასჭოს საქმიანობის შესახებ.
- შეხვედრების მოსახლეობასთან და მათი მხარდაჭერა.
- „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილების პროექტი - შესრულების პროცესშია.
- შეხვედრები უნივერსიტეტის სტუდენტებთან გარემოს დაცვის დღეებთან დაკავშირებით.
- ვიზიტები სკოლებში და ღია გაკვეთილების ჩატარება.
- სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელება.
- ინტენსიური მუშაობა უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო და საზედამხედველო საქამიანობაში.